ოქმი №2

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომისა, რომელიც გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში 2026 წლის 6 თებერვალს.

სხდომა დაიწყო 12:00 საათზე, დამთავრდა 12:20 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ: კომისიის წევრები – გ. შომახია, ბ. კალანდარიშვილი, ზ. ყურაშვილი, ბ. შარტავა, გ. ოდიშარია, ვ. ჩიქობავა, მ. ნანეიშვილი, ვ. კირცხალია.

სხდომას თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე – გ. შომახია.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. სენაკის მუნიციპალიტეტის ქალაქ სენაკში ვენე არჩაიას ქუჩის ნაწილის ალექსანდრე (კუკური) ჩაჩიბაიას სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის შესახებ

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: გ. შომახია

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დღის წესრიგს (მომხრე – 8; წინააღმდეგი – 0). სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიამ განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

მოისმინეს: 1. სენაკის მუნიციპალიტეტის ქალაქ სენაკში ვენე არჩაიას ქუჩის ნაწილის ალექსანდრე (კუკური) ჩაჩიბაიას სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის შესახებ

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: გ. შომახია

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვენე არჩაიას ქუჩის ნაწილის სახელწოდების ცვლილება მიზანშეუწონლად მიაჩნია, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის დადგენილება N239 - ,,მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ - მე-5 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, რასაც კომისიის წევრები ეთხმად დაეთანხმნენ.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 8, წინააღმდეგი - 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომამ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. უარი ეთქვას საქართველოს მთვრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების - მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ - მე-5 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე - ვენე არჩაიას ქუჩის ნაწილის სახელწოდების ცვლილებასთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარე: გიორგი შომახია